# RIBA სამუშაო გეგმის მონახაზი 2007

სამუშაო გეგმის მონახაზი ორგანიზებას უკეთებს მართვის პროცესს და სამშენებლო პროექტის დიზაინს, აგრეთვე ადმინისტრირებას უწევს სამშენებლო კონტრაქტებს სხვადასხვა ძირითად სამუშაო ფაზებში. სამუშაო ფაზების შემადგენლობის სიხშირე შეიძლება სხვადასხვა იყოს ან შესაძლოა გადაფარონ ერთმანეთი, რათა მოერგონ შესყიდვების მეთოდს

| RIBA-ს სამუშაო ფაზები | | | | ძირითად ამოცანების აღწერილობა | PM BOK საპროცესო ჯგუფები |
|---|---|---|---|---|---|
| მომზადება | A | შეფასება | | კლიენტის მოთხოვნების და მიზნების იდენტიფიცირება. პროექტის მოკლე აღწერილობის შედგენა და შესაძლო განვითარების შემზრუდავი ფაქტორების დადგენა<br><br>შესრულებადობის კვლევის მომზადება და ოფციების შეფასება, რათა საშუალება ჰქონდეს კლიენტს გადაწყვიტოს განაგრძოს თუ არა პროექტის განხორციელება. | 1<br>ინიცირება |
| | B | საპროექტო დავალება | | პროექტის მოკლე აღწერილობის გარდაქმნა საპროექტო დავალებად კლიენტის მიერ ან მისი სახელით, რომლიც ადასტურებს ძირითად მოთხოვნებსა და შეზღუდვებს. შესყიდვების მეთოდის, პროცედურების, ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა, საჭირო კონსულტანტთა და სხვათა რანგის პროფესიონალების განსაზღვრა, რომლებიც ჩართულნი იქნებიან პროექტში | 2<br>დაგეგმვა |
| დიზაინი | C | კონცეფცია | | საპროექტო დავალების იმპლემენტაცია და დამატებითი მონაცემების მომზადება<br><br>კონცეპტუალური დიზაინის მომზადება, მათ შორის კონსტრუქციული და საინჟინრო გადაწყვეტების მონახაზის მომზადება, სპეციფიკაციების და წინასწარი ხარჯების მონახაზის მომზადება<br><br>შესყიდვების მეთოდის მიმოხილვა | |
| | D | "პროექტი" დიზაინის განვითარება | | კონცეპტუალური დიზაინის განვითარება, რათა მოიცავდეს კონსტრუქციულ და შენობის საინჟინრო სისტემებს, განახლებულ სპეციფიკაციებს და ხარჯების გეგმას<br><br>პროექტის აღწერილობის დასრულება<br><br>*მეორე ან მესამე ეტაპის ნებართვის მოთხოვნა* | 2A<br>დაგეგმვა |
| | E | ტექნიკური დიზაინი | | ტექნიკური დიზაინის და სპეციფიკაციების მომზადება, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება პროექტის კომპონენტების და ელემენტების კოორდინირებისათვის, *ინფორმაცია სავალდებულო სტანდარტებისა სამშენებლო უსაფრთხოების შესახებ.* | 2B<br>დაგეგმვა |
| მშენებლობის მოსამზადებელი პერიოდი | F | ინფორმაცია პროდუქციის შესახებ | F1 | დეტალური ინფორმაციის მომზადება პროდუქციის შესახებ, ადეკვატური დეტალიზაციით, რათა შესაძლებელი იყოს ტენდერის მოწყობა<br>*სხადასხვა სამართლებრივი ნებართვების მოთხოვნა* | |
| | | | F2 | *სამშენებლო კონტრაქტის გასაფორმებლად საჭირო სხვა დამატებითი ინფორმაციის მომზადება* | |
| | G | სატენდერო დოკუმენტაცია | | *დეტალური სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება ან შეგროვება, რათა შესაძლებელი გახდეს ტენდერის მოწყობა პროექტის ფარგლებში* | |
| | H | სატენდერო მოქმედებები | | *პროექტისათვის პოტენციური კონტრაქტორების ან სპეციალისტების იდენტიფიცირება და შეფასება*<br><br>*ტენდერების მოწყობა და შეფასება; კლიენტისათვის რეკომენდაციების გადაცემა* | 3<br>აღსრულება |
| მშენებლობა | J | მობილიზაცია | | სამშენებლო კონტრაქტის გაფორმება, კონტრაქტორის დანიშვნა<br>კონტრაქტორისათვის ინფორმაციის გადაცემა<br>სამშენებლო მოედნის ჩაბარება კონტრაქტორისათვის | |
| | K | მშენებლობის პროცესი პრაქტიკულ დასრულებამდე | | სამშენებლო კონტრაქტის ადმინისტრირება პრაქტიკულ დასრულებისთვის.<br>კონტრაქტორისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება შესაბამის დროს.<br>კონტრაქტორის და სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის განხილვა. | 4<br>დახურვა |
| ექსპლუატაცია | L | დასრულებული მშენებლობის პროცესის შემდგომი პერიოდი | L1 | სამშენებლო კონტრაქტის ადმინისტრირება პრაქტიკულად დასრულებამდე და საბოლოო ინსპექციის განხორციელება | |
| | | | L2 | შენობის მომხმარებლის მხარდაჭერა შესახლების მანძილზე. | |
| | | | L3 | პროექტის შესრულების მიმოხილვა | 4A<br>დახურვა |

*დახრილი* წერით მოცემული ღონისძიებების მიმდევრობა შესაძლებელია გადაადგილდეს პროექტის მოთხოვნებიდან გამომდინარე მაგ:

D მეორე ან მესამე ეტაპის ნებართვის მოთხოვნა
E ინფორმაცია სავალდებულო სტანდარტებისა სამშენებლო უსაფრთხოების შესახებ
F1 სხადასხვა სამართლებრივი ნებართვების მოთხოვნა   და ა.შ